



თვითმენეჯმენტის არსი, ეტაპები და უმაღლესი ნაწილები

რეზიუმე

თვითმენეჯმენტი საკუთარი თავი მართავს ნიშნავს. იგი ახალი მეცნიერებაა და ახალი სასწავლო დისციპლინაა. სტატიაში განხილულია მისი შემადგენელი საბაზო ელემენტები, კერძოდ: პიროვნული დროის მართვა, აქტივობის მართვა, შრომისუნარიანობის მართვა, განათლებულობის მართვა და გადახდისუნარიანობის მართვა. თითოეული ამ რესურსთაგანი დახასიათებულია სიღრმისეულად და პასუხი აქვთ გაცემული კითხვებს, თუ როგორ, რა მეთოდებით და ხერხებით შეიძლება მათი მართვა. სტატიაში განხილულია თვითმენეჯმენტის მეცნიერების განვითარების სამი ეტაპი.

საკვანძო სიტყვები:

თვითმენეჯმენტი

აქტივობა

დრო

განათლებულობა

გადახდისუნარიანობა

შესავალი

თითოეულ პიროვნებას აქვს თავისი საბაზო რესურსები. ეს არის დრო, განათლება, აქტივობა, ფული. პიროვნების განვითარება მათ სწორ გამოყენებაზე არის დამოკიდებული. იმიტომ რომ პიროვნება სწორად განვითარდეს, მან უნდა იცოდეს ამ რესურსების სწორი მართვა, ანუ თვითმენეჯმენტი. საკუთარი თავის მართვა ადამიანს აქცევს ორგანიზებულ, მიზანმიმართულ და აქტიურ პიროვნებად.

ძირითადი ტექსტი

1. თვითმენეჯმენტის ცნება და მისი უმაღლესი ნაწილები

თვითმენეჯმენტი არის მენეჯმენტის შედარებით ახალი მიმართულება და იგი უშუალოდ ადამიანის, როგორც პიროვნების მართვას ეხება. მენეჯმენტის ეს მიმართულება წამოვიდა დასავლეთიდან, სადაც მას ინგლისურ ენაზე ეწოდება "Selfmanagement"-ი, რაც ქართულად თვითმართვად ითარგმნება.

თვითმენეჯმენტი მოიცავს თვითორგანიზა-

ნათია გურაშვილი

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: n.gurashvili77777@gmail.com

ციას, თვითდისციპლინას, პერსონალური დროის, საკუთარი ფულადი სახსრების, საკუთარი ცოდნის და სხვა რესურსების. გამოყენების საკითხებს.

თვითმენეჯმენტი ეს არის პიროვნების ისეთი საბაზო რესურსების მართვა, როგორიცაა დრო, აქტივობა, განათლება და გადახდისუნარიანობა [Tadadze A., 2012, გვ. 11.].

პიროვნების დროის რესურსების მართვა პასუხობს კითხვებზე:

1. როგორ გავაკეთოთ ერთი და იგივე დროში, რაც შეიძლება მეტი საქმე?

2. როგორ დავგეგმოთ ეფექტურად სამუშაო?

3. რატომ არის საჭირო დროის აღრიცხვის დღიურები და ჩანაწერთა ბლოკნოტები?

4. დროის გამოყენების რომელი საერთო წესები და პრინციპები არსებობენ?

5. რა შეიძლება გავაკეთოთ ძილში, ღვიძილში?

6. რა არის ლატერალური და კვანტური აზროვნება?

7. როგორ მოვაწყოთ სხვადასხვა ინფორმაციული ნაკადების ერთდროული დამუშავება?

8. რა არის „დროის მახე“, როგორ დავადლოთ მას თავი?

9. რას წარმოადგენენ აზროვნების რუკები და სტრუქტურულ-ლოგიკური სქემები.

10. საიდან მოდის და სად მიდის დრო?

პიროვნების აქტივობის რესურსების მართვა გვეხმარება გავიგოთ:

1. როგორ შევინარჩუნოთ ხანგრძლივი ვადით ჯანმრთელობა და აქტიურობა?

2. რა არის ჯანმრთელობის რეფლექსი?

3. როგორ არ დავკარგოთ დრო ავადმყოფობასთან ბრძოლაზე?

4. როგორ ავაწყოთ მუშაობა მინიმალური ძალისხმევით?

5. როგორ გამოვრიცხოთ ჩვენი პირადი კულტურიდან გაცივებასთან დაკავშირებული ავადმყოფობები?

6. როგორ გავიძლიეროთ იმუნური სისტემა?

7. როგორ ვიყოთ ჯანმრთელნი?

8. რა არის ვერტიკალური და ჰორიზონტალ-



ლური კარიერა?

9. როგორ მოვასწოროთ ყველაფერი?

10. რა არის ტექნოლოგია და სოციალური ტექნოლოგიები?

11. როგორ ავითვისოთ მრავალი სოციალური როლი და როგორ გავხდეთ პოლივალენტური პიროვნება?

12. როგორ გამოვიყენოთ ბიზნესში აქტიორის ხელოვნება?

13. განათლების რამდენი დიპლომი სჭირდება ადამიანს?

პიროვნების გადახდისუნარიანობის რესურსებისმართვა პასუხს იძლევა შემდეგ კითხვებზე:

1. რა იულისხმება ფულის შემოსავალ-გასავლის ჰარმონიაში?

2. როგორია კავშირი ჩვენს გაზრდილ მოთხოვნილებებსა და შემოსავლებს შორის?

3. როგორ ვაწარმოვოთ შინაბუღალტერია?

4. როგორ ვაწარმოვოთ პირადი ფინანსები პერსონალურ კომპიუტერში?

5. როდის ღირს სამომხმარებლო სესხით სარგებლობა?

6. როგორ და სად „ვაკეთოთ“ ფული და როგორ ვხარჯოთ იგი?

7. რა იულისხმება საბაზრო ურთიერთობებში?

8. რა შეიძლება იყოს შემოსავლის წყარო?

9. რა როლი აქვს დაზღვევას ადამიანის ცხოვრებაში?

10. როგორია ინვესტიციების სახეები?

11. როგორ შეიძლება ადამიანმა გააკეთოს ეკონომია?

პიროვნების განათლებულობის რესურსების მართვა გვეხმარება გავიგოთ:

1. რას მოიცავს განათლებულობა პოსტინდუსტრიალურ საზოგადოებაში?

2. რატომ ითვლება განათლებულობა კონკურენტუნარიანობის ერთადერთ უპირატესობად?

3. თანამედროვე დამქირავებელს როგორი მუშაკები სჭირდება?

4. მიზნის მისაღწევად როგორი ჩვევები, ცოდნა და უნარები სჭირდება ადამიანს?

5. გვაქვს თუ არა იგი ჩვენ და თუ არ გვაქვს, როგორ შევიძინოთ?

6. როგორია განათლების თანამედროვე სისტემები?

7. რაში მდგომარეობს სახელმწიფო, დისტანციური და ღია განათლება?

8. როგორ არის მოწყობილი ინდივიდუალური და სოციალური საგანმანათლებლო სივრცე?

9. რაში გამოიხატება თვითგანვითარების აუცილებლობა?

10. როგორია თვითგანვითარების ტექნოლოგიის ხერხები და მეთოდები?


11. რაში მდგომარეობს ტვინის მუშაობის კანონები და ეფექტური სასწავლო საქმიანობის ტექნოლოგია?

12. როგორ გავხადოთ ეფექტური ჩვენი მეხსიერება, შემოქმედება, კითხვა, სიტყვით გამოსვლა, წერა?

ამრიგად, როგორც აქ მოცემული ჩამონათვალიდან ჩანს, თვითმენეჯმენტი ოთხი ძირითადი რესურსის – დრო, აქტივობა, გადახდისუნარიანობა და განათლებულობა – სამართავად არის მიმართული. სწორედ ეს უდევს საფუძვლად მოცემული სახელმძღვანელოს ოთხ ძირითად ნაწილად დაყოფას. მენეჯმენტის თეორიის თვალსაზრისით ეს ობიექტები შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც თვითმენეჯმენტის ფუნქციები. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საკუთრივ მენეჯმენტის ფუნქციები – დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივაცია და კონტროლი – თვითმენეჯმენტშიც არსებობენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ მათი მოქმედება იმ ობიექტების მართვის კონტექსტში მიმდინარეობს, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვა-ლეთ (ნახაზი 1).

2. თვითმენეჯმენტის ბანვიტარების ეტაპები

თვითმენეჯმენტის მეცნიერების განვითარებაში სამი ეტაპი გამოიყოფა:





პირველი ეტაპი უკავშირდება ცალკეული ადამიანის გამოცდილებას, რომლებიც საკუთარ, პირადი შრომის ტექნიკაში აკვირდებოდნენ სხვადასხვა ხერხების გამოყენების ეფექტიანობას. ეს ეტაპი უძველეს დროს დაიწყო და ამჟამადც მიმდინარეობს.

მეორე ეტაპი უკავშირდება თვითმენეჯმენტის მეცნიერებაში ცოდნის ცალკეული სფეროების გამოყოფას. ცოდნის ასეთმა სპეციალიზაციამ, გამოიწვია პიროვნების ისეთი ცალკეული უნარების განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება, როგორიცაა მეხსიერების ტრენირება, რაციონალური კითხვა და ა. შ. დღეს, თვითმენეჯმენტის მეცნიერულ დისციპლინაში სპეციალიზაციისგადრმაგება გრძელდება. გარდა მისი უკვე ტრადიციულად ქცეული სფეროებისა (საქმიანი მიმოწერა, საქმიანი სატელეფონო საუბარი და ა. შ.), თვითმენეჯმენტში იწყება და იქმნება ისეთი სიახლეები, როგორიცაა საკუთარი ემოციების მართვა, თანამოსაუბრის მოსმენის ხელოვნება და ა. შ. ცხადია, ამ სიახლეების შექმნაზე დიდ გავლენას ახდენს ტექნიკურ და პუბლიკატურულ მეცნიერებებში მომხდარი პროგრესული ცვლილებები.

მესამე ეტაპის წარმოქმნას ხელი შეუწყო ადამიანის პირადი შრომის ტექნიკის სისტემატიზაციამ. იგი მდგომარეობს ამ მეცნიერებისთვის აუცილებელ სფეროების განსაზღვრაში და მათგან ურთიერთდაკავშირებულ მთელის

ჩამოყალიბებაში. ამ მიმართულებით ერთ-ერთი პირველი ნაშრომი არის მენეჯმენტის დიდი სპეციალისტის პ. დრუკერის ნაშრომი – „ეფექტური მმართველი“. ამ ეტაპზე, სისტემური მიდგომით შეიძლება გამოვყოთ ძირითადი ქვესისტემები, რომლებიც დაგვეხმარებიან ავსსნათ პიროვნების ქცევა.

ზემოთნათქვამის მხედველობაში მიღებით ადამიანის გამარტივებული მოდელი შეიცავს შემდეგ მდგენელებს (ნახაზი 2):


- ფიზიკურს (აქტივობა);
- ზნეობრივ-ფსიქოლოგიურს (დრო);
- რაციონალურს (გადახდისუნარიანობა);
- შემოქმედებითს (განათლებულობა, უნარები).

საკუთარი თავის მართვა ნიშნავს ნახაზზე (2) მოცემულ ყველა მდგენელის მართვას ცალკე და ინტეგრალურად.

ადამიანის პიროვნების და მისი რესურსული მდგენელების ასეთი თანაფარდობა, გარკვეულად გამარტივებულია, პირობითია. ამის მიუხედავად, იგი სისტემური მიდგომით თვითმენეჯმენტის საკუთარი მოდელის ფორმირების საშუალებას იძლევა.

ვასრულებთ რა მართვის საერთო ფუნქციებს, რომლებიც პირველ ნახაზზეა მოცემული, საკუთარი თავი სიტუაციური მიდგომით, ანუ შექმნილი სიტუაციის მიხედვით უნდა ვმარ-

ნახაზი 2. ადამიანის თვითმენეჯმენტის მოდელი





თით. ამ დროს სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება, კერძოდ: თვითრეგულაცია, ანალიზი, ადაპტაცია, რაციონალიზაცია და განვითარება. მათ შორის გამოსაყენებლად ვარგისი მეთოდის არჩევა დამოკიდებულია, როგორც შექმნილ სიტუაციაზე, ისე დასახულ მიზანზე, რომლის მიღწევაც გვსურს.

დასკვნა

სტატიაში დასმული პრობლემის გამოკვლევამ საშუალება მოგვცა დავასკვნათ, რომ

საჭიროა ადამიანებმა ისწავლონ საკუთარი პიროვნული რესურსების მართვა, ანუ თვითმენეჯმენტი. ეს თვითაქტუალიზაციით უნდა მოხდეს. ს არის ადამიანის აქტიურობის პროცესი. ამის გარეშე ადამიანი (პიროვნება) თავის სუბიექტურობას ვერ დაამტკიცებს. ადამიანს თვითმენეჯმენტი სჭირდება მუშაობის დროსაც და დასვენების დროსაც. სჭირდებათ იგი ფიზიკური შრომის მუშაებსაც და გონებრივი შრომის მუშაებსაც. თვითაქტუალიზაციით ადამიანი თვითონაც ვითარდება, ოჯახსაც ავითარებს და იმ ორგანიზაციასაც, სადაც იგი მუშაობს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Самоменеджмент (под. ред. В. Парахиной), М., 2012.

ESSENCE, STAGES AND COMPONENTS OF SELF-MANAGEMENT

NATIA GURASHVILI

PhD of GTU

E-mail: n.gurashvili77777@gmail.com

Summary

Self-management is managing own self; it is a new science and a new academic discipline. Its basic elements are considered in the article. Those are personal time management, activity management, performance management, education management and solvency management. The article describes thoroughly all of those resources and answers the questions concerning the methods and means for its management. The article describes three stages of development of self-management science.